



შპს ბარაკონი

2017 წლის
სამოქმედო გეგმის
შესრულების
ანგარიში

2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი

2017

შესავალი	4
სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება	5
სტრატეგიული მიზანი 1.....	5
სტრატეგიული მიზანი 2.....	9
სტრატეგიული მიზანი 3.....	11
სტრატეგიული მიზანი 4.....	13
სტრატეგიული მიზანი 5.....	14
სტრატეგიული მიზანი 6.....	17
სტრატეგიული მიზანი 7.....	18
დასკვნა	19
2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები	20

შესავალი

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი კოლექტი ბარაკონი თავის საქმიანობას ახორციელებს „შპს ბარაკონი (საზოგადოებრივი კოლექტი) სტრატეგიული გეგმა 2016-2021“-ის შესაბამისად.

სტრატეგიული გეგმა იქმნება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისიის მიერ, ხოლო შემდგომ განსახილველად გადაეცემა პედაგოგიური საბჭოს. სტრუქტურულ ერთეულს განხილვისა და შენიშვნებისთვის ეძლევა ერთი კვირა. მიღებული შენიშვნებითა და რეკომენდაციებით ჩასწორებული სტრატეგიული გეგმა განსახილველად და შემდგომში დასამტკიცებლად გადაეცემა კოლექტის დამფუძნებელთა საბჭოს. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმა სრულად გაზიარებულია როგორც პედაგოგიური საბჭოს, ასევე სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ.

სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა შედგება 7 სტრატეგიული მიზნისგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 15 სხვადასხვა აქტივობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით შემდეგი სტრატეგიული მიზნებია გამოყოფილი:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- კოლექტის მართვის სტრუქტურის სრულყოფა;
- სასწავლო პროცესის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- სტუდენტები და მათი მომსახურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება;
- კოლექტის შიდა და გარე შეფასება.

აღნიშნული აქტივობების შესრულება ხელს შეუწყობს კოლექტის საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე სასწავლო პროცესის კუთხით.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

სტრატეგიული მიზანი 1

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 5 აქტივობის განხორციელება.

აქტივობა 1.1				
აქტივობის მოკლე აღწერა	აუდიტორიის ინვენტარის განახლება			
მთავარი მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება			
ინდიკატორი	შეძენილი ინვენტარის (მაგიდა, სკამი, კარადა, ტუმბო) რაოდენობა/მაჩვენებელი			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა სკამი - 22 ერთეული.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
			✓	
სამომავლო გეგმები	აუდიტორიის ინვენტარის განახლება მომავალ წლებშიც გაგრძელდება.			

აქტივობა 1.2				
აქტივობის მოკლე აღწერა	კაბინეტ - ლაბორატორიების (მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის) და ბიბლიოთეკის სრულყოფა			
მთავარი მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება			
ინდიკატორი	შეძენილი კომპიუტერების მაჩვენებელი;			

	▪ შეძენილი ტექნიკის (პროექტორი, მონიტორი) მაჩვენებელი; ▪ შეძენილი წიგნების რაოდენობა.			
საგარეო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და კომპიუტერების საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა. კერძოდ: ▪ მონიტორი (Acer 21.5“) - 6 ცალი; ▪ პროცესორი (i3 7100 3.9 GHz 4GB DDR4 500 GB) – 3 ცალი; ▪ ვიდეო ადაპტორი (2GB Asus GT730) – 4 ცალი; ▪ მონიტორი (DLED PRIME) – 1 ცალი; ▪ პროექტორი (ACER PROJECTOR X117H) – 1 ცალი; ▪ კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) Canon MF231 – 1 ცალი; ▪ LG External DVD-RW – 1 ცალი. ასევე, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახისა და ოდენობის ტექნიკა (მაუსი, კომპაქტ-დისკი, დენის ფილტრი, კლავიატურა, usb მეხსიერება, ქსელის კაბელის აქსესუარი და სხვა). განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, კოლეჯს საჩუქრად გადაეცა 37 ცალი წიგნი.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, კაბინეტ - ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის სრულყოფა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.			

აქტივობა 1.3				
აქტივობის მოკლე აღწერა	ადმინისტრაციის ტექნიკური აღჭურვა, დაცვის სისტემის უზრუნველყოფა			
მთავარი მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება			
ინდიკატორი	ადმინისტრაციისთვის შეძენილი ტექნიკა			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	ადმინისტრაციის ტექნიკური აღჭურვისთვის შეძენილ იქნა 2 კომპიუტერი სრული კომპლექტით.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		✓		
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 1.4				
აქტივობის მოკლე აღწერა	სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა			
მთავარი მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება			
ინდიკატორი	- სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების მოწესრიგება; - ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის ცეცხლმაქრების ვარგისიანობის გადამოწმება და დატენვა; - პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტების ვარგისიანობის გადამოწმება და ახალი მედიკამენტების შეძენა.			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			

მიღწეული შედეგები	სრულად გარემონტდა სანიტარულ-ჰიგიენური წერტილები. სანიტარული კვანძები გამოიყო ქალებისა და მამაკაცებისთვის და მათი რაოდენობა გაიზარდა. ასევე მოხდა მათი ადაპტირება შშმ და სსსმ პირებისთვის. შესაბამისად, სველი წერტილები უზრუნველყოფს სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის ცეცხლმაქრები ვარგისიანობაზე გადამოწმდა და ხელახლა დაიტენა. პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის შეძენილ იქნა ახალი მედიკამენტები, ვადაგასული მედიკამენტები კი განადგურდა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სანიტარულ-ჰიგიენური წერტილების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და პირველადი სამედიცინო დახმარების გადამოწმება-სრულყოფა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.			

აქტივობა 1.5				
აქტივობის მოკლე აღწერა	გათბობის სისტემის გადამოწმება-სრულყოფა			
მთავარი მიზანი	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება			
ინდიკატორი	გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	აუდიტორიებში დამონტაჟებულია გათბობის პერიფერიული საშუალებები (ელექტროლუმენები). ისინი ზამთრის დადგომამდე გადამოწმდა და საჭიროებისამებრ შეკეთდა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა

		✓		
სამომავლო გეგმები	სამომავლოდ იგეგმება გათბობის სისტემის სრულყოფა და ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება.			

სტრატეგიული მიზანი 2

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მართვის სტრუქტურის სრულყოფა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 აქტივობის განხორციელება.

აქტივობა 2.1	
აქტივობის მოკლე აღწერა	შინაგანაწესში ცვლილებების, დამატებების განხორციელება და დამტკიცება
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვის სტრუქტურის სრულყოფა
ინდიკატორი	შინაგანაწესში შესული ცვლილებების მაჩვენებელი
სავარაუდო ვადა	2017 წელი
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში შინაგანაწესში 3-ჯერ შევიდა ცვლილება. ცვლილებების მიზეზი და საფუძველი სხვადასხვა იყო. ბოლოს შესული ცვლილებების შედეგად შინაგანაწესი დაიშალა და მის საფუძველზე შეიქმნა 5 დოკუმენტი. ეს დოკუმენტებია: „შინაგანაწესი“, „პროფესიულ სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი“, „პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესი“, „პროფესიულ სტუდენტთა და მშობელთა უფლება-მოვალეობანი“, „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი“ და განახლდა „საქმისწარმოების წესი“, „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2.2				
აქტივობის მოკლე აღწერა	შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და პედაგოგიურ პერსონალთან			
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვის სტრუქტურის სრულყოფა			
ინდიკატორი	გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მაჩვენებელი			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	კოლეჯში რეგულარლად მიმდინარეობს შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებების გადახედვა, გაფორმება როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პირებთან. შეიცვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა შრომითი ხელშეკრულები როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მოდულის განმახორციელებელ პირებთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულებები. საანგარიშო პერიოდში ხუთ ახალ პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმდა შრომითი და/ან მომსახურების ხელშეკრულება.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მომავალშიც გადაიხედება და საჭიროებიდან გამომდინარე გაგრძელდება ხელშეკრულებების მოქმედების ვადა. ახალდამატებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოდულის განმახორციელებელ პირებთან გაფორმდება მომსახურების ხელშეკრულებები.
--------------------------	--

სტრატეგიული მიზანი 3

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის გაუმჯობესება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 აქტივობის განხორციელება. აქტივობას წარმოადგენდა კვლევის ჩატარება, რომლის ამოცანა იყო დაედგინა, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობდა სწავლა-სწავლების პროცესი, გამოველინა არსებული პრობლემები და დაესახა მათი აღმოფხვრის გზები.

აქტივობა 3.1				
აქტივობის მოკლე აღწერა	სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო პროცესის და კურსების გაუმჯობესების მიზნით			
მთავარი მიზანი	სასწავლო პროცესის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	გამოკითხული პროფესიული სტუდენტები (ჩატარებული კვლევა)			
საგარეო ვადა	2017 წლის გაზაფხული			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა 5 საგანმანათლებლო პროგრამის 62 პროფესიული სტუდენტი.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება კვლევები. კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
--------------------------	--

აქტივობა 3.2				
აქტივობის მოკლე აღწერა	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი			
მთავარი მიზანი	სასწავლო პროცესის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	ლექტორისა და კურსის შეფასების კვლევის ანგარიში			
სავარაუდო ვადა	2017 წლის გაზაფხული-ზაფხული			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში გამოკითხული პროფესიული სტუდენტებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა ლექტორისა და კურსის შეფასების კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც კვლევის მეთოდოლოგიასა და მონაცემთა ანალიზს, ასევე კვლევის ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული კვლევის ანგარიში განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის. http://barakoni.edu.ge/wp-content/uploads/2017/12/kvlevis.angarishi-2017.pdf			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიული სტუდენტებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე მომავალ წლებშიც შემუშავდება კვლევის ანგარიშ/ებ/ი.			

სტრატეგიული მიზანი 4

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება.

აქტივობა 4.1				
აქტივობის მოკლე აღწერა	პედაგოგთა გადამზადება			
მთავარი მიზანი	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება			
ინდიკატორი	დატრენინგებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა მაჩვენებელი			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის სპეციალისტის ტრენინგებს დაესწრო 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინფორმაცია მხარდაჭერის სპეციალისტის ვიზიტების შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე. კოლეჯის ორგანიზებით ასევე ტარდება შიდა ტრენინგები პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის აქტუალური საკითხების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ტრენინგის თემას წარმოადგენდა „შეფასება და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება“, „კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში“. კოლეჯს განაცხადი ქონდა გაკეთებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონსულტირებისა და დატრენინგების მიზნით. საანგარიშო პერიოდში ცენტრის მხრიდან აღნიშნულ განაცხადს გამოხმაურება არ მოჰყოლია.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		✓		

სამომავლო გეგმები	კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას და მათ პროფესიულ განვითარებას.
--------------------------	--

სტრატეგიული მიზანი 5

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტები და მათი მომსახურება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობის აქტივობების განხორციელება, უსაფრთხოების ტრენინგისა და ექსკურსიების ორგანიზება.

აქტივობა 5.1	
აქტივობის მოკლე აღწერა	ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობის აქტივობების განხორციელება
მოთვარი მიზანი	პროფესიული სტუდენტებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა - სტუდენტები და მათი მომსახურება
ინდიკატორი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისთვის განხორციელებული აქტივობები
სავარაუდო ვადა	2017 წელი
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შეხვედრა თემაზე „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფსიქო-სოციალური ასპექტები“, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტებისა და ახალგაზრდებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების თაობაზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა. ღია ლექცია ჩატარდა მოწვეული სტუმრის, ფსიქოთერაპევტ თამარ ბოკუჩავას მიერ. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ჩემპიონატი „ბუშტებით ფეხბურთში“. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩემპიონატში ჩაერთო კოლეჯის პროფესიული სტუდენტები. აღნიშნული

	შეჯიბრი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		✓		
სამომავლო გეგმები	კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროპაგანდას და უზრუნველყოფს მსგავსი აქტივობების განხორციელებას.			

აქტივობა 5.2				
აქტივობის მოკლე აღწერა	უსაფრთხოების ტრენინგი			
მთავარი მიზანი	სტუდენტები და მათი მომსახურება			
ინდიკატორი	განხორციელებული უსაფრთხოების ტრენინგების რაოდენობა			
სავარაუდო ვადა	2017 წელი			
მიღწეული შედეგები	სამოქმედო გეგმის მიზედვით ორჯერ უნდა ჩატარებულიყო ტრენინგი თემაზე „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა“. საანგარიშო პერიოდში ტრენინგი ჩატარდა მხოლოდ ერთხელ.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
		✓		
სამომავლო გეგმები	სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უსაფრთხოების ტრენინგების ორგანიზება მომავალშიც გაგრძელდება.			

აქტივობა 5.3	
აქტივობის მოკლე აღწერა	ექსკურსიები
მთავარი მიზანი	სტუდენტები და მათი მომსახურება
ინდიკატორი	განხორციელებული აქტივობების მაჩვენებელი
სავარაუდო ვადა	2017 წელი
მიღწეული შედეგები	პროფესიული სტუდენტებისათვის მოეწყო ექსკურსია სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში, ექსკურსია მამადავითზე; პროფესიული სტუდენტები ეწვივნენ მანგლისის ბავშვთა სახლს. ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები, პროგრამის სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში, ეროვნულ არქივს სტუმრობდნენ. სტუდენტები გაეცნენ ეროვნული არქივის სტრუქტურას, მუშაობის წესებს და მიიღეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია. ექსკურსიის დროს გიდმა მათ აჩვენა ედისონის ცვილის ლილვაკი, რომელზეც დატანილია პირველი აუდიო ჩანაწერი. სტუდენტებმა ასევე დაათვალიერეს ქართველ მეფეთა ხელნაწერები. მათ შორის თამარ მეფის და ერეკლე მეფის ხელნაწერები. ვიზიტის დროს პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორსა და არქივის სხვა თანამშრომლებს. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტის - „მე აქტიური მოქალაქე“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც კოლეჯის პროფესიული სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ერთობლივი პროექტის „ერთი დღე ჯარში“ ფარგლებში ბარაკონის პროფესიული სტუდენტები ეწვივნენ ვაზიანის IV მექანიზებულ ბრიგადას და გაეცნენ ჯარის ცხოვრებას; პროექტის „ძლიერი ახალგაზრდობა ძლიერი საქართველოსთვის“ ფარგლებში, კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა შეხვედრა გამართეს სკოლის მოსწავლეებთან.

	აღნიშნული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, ექსპერსიების ორგანიზება მომავალშიც გაგრძელდება.			

სტრატეგიული მიზანი 6

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება და არსებულის განახლება.

აქტივობა 6.1	
აქტივობის მოკლე აღწერა	ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება, არსებულის განახლება
მთავარი მიზანი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება
ინდიკატორი	- ახალშემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ღირებულების ბრძანებით დამტკიცება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა; - არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელება.
საგარეო ვადა	2017 წელი
მიღწეული შედეგები	2017 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა ინფორმაციის ტექნოლოგიის მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2018 წლის 26 იანვარს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შევიდა კოლეჯის ავტორიზაციის განაცხადი, რომელშიც მიეთითა ინფორმაციის

	ტექნოლოგიის შემუშავებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცების აქტთან ერთად. არსებულ პროფესიულ (საგნობრივ) საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის დასკვნის საფუძველზე. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებების საფუძველზე. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილება განპირობებული იყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთა დამატებით.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს არსებული საგნობრივი პროგრამების მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით ჩანაცვლებას.			

სტრატეგიული მიზანი 7


2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის შიდა და გარე შეფასება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო ერთი აქტივობის განხორციელება.

აქტივობა 7.1	
აქტივობის მოკლე აღწერა	თვითშეფასება
მთავარი მიზანი	კოლეჯის შიდა და გარე შეფასება
ინდიკატორი	თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში
სავარაუდო ვადა	2017 წლის ივლისი

მიღწეული შედეგები	2017 წლის 28 ივლისს კოლეჯის თვითშეფასების წლიური ანგარიშის ელექტრონული ვერსიის წარდგენა მოხდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	კოლეჯი მომავალშიც გააგრძელებს ხარისხის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების ვადების მიხედვით შესრულებას.			

დასკვნა

2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 15 აქტივობიდან სრულად შესრულდა - 9 აქტივობა, უმეტესწილად შესრულდა - 5, ნაწილობრივ შესრულდა - 1, ხოლო არცერთი აქტივობა შეუსრულებელი არ დარჩენილა.



2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები

- ნინო ბოკერია - დირექტორის მოადგილე;
- ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მარიამ გიორგობიანი - ფინანსური სამსახურის უფროსი;
- ეკა ქებურია - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ნინო კაკაბაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ნუგზარ ჩადუნელი - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ნინო ნიკურაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- მაია დუნდუა - პროფესიული განათლების მასწავლებელი.